სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

28 ოქტომბერი 2025

N 21/10689

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გაცნობებთ, რომ 2025 წლის 17 ოქტომბერს **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიამ,** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციების მიღების მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა განცხადება და **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის განაშენიანების გეგმის პროექტი და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში**. განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - https://ei.gov.ge/. პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/fb18f596-eb2a-4a7b-af9e-b4fd767e1a6c.

ზემოაღნიშნულ განცხადებასთან/თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2025 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

როგორც თქვენთვის ცნობილია, აღნიშნულ პროექტზე საჯარო განხილვა გაიმართება 2025 წლის 17 დეკემბერს, 12:00 საათზე, სოფ. ორბეთის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების შესაბამისად, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი დაქვემდებარებული სტრატეგიული დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვის ორგანიზატორს წარმოადგენს დამგეგმავი ორგანო. ამასთანავე, სავალდებულოა შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლის დასწრება.

საჯარო განხილვა ღიაა, მასში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული პროექტისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება როგორც **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე,** ოფიციალურ ვებგვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე პროექტის განხორციელების სიახლოვეს, ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ

ადგილებზე (მაგ.: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოს ეროვნული სააგნტოსთვის გამოგზავნა, ფოტომასალის სახით.

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი

- განცხადება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტზე რეკომენდაციების მიღების თაობაზე - 1 ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/10689-21-2-202510280950

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE